



EHEAROME2020

რომის

მინისტრიალის

კომუნიკე

19 ნოემბერი 2020





ჩვენ, უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები, ონლაინ ვხვდებით ერთმანეთს 2020 წლის 19 ნოემბერს და აღვნიშნავთ 21 წლიან მიღწევებს ბოლონის დეკლარაციაზე ხელმოწერიდან. კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს ვალდებულებას განვაავითაროთ უფრო მეტად ინკლუზიური, ინოვაციური, ურთიერთდაკავშირებული და მოქნილი უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე (EHEA).

მადლობას ვუხდით იტალიას საკვანძო როლის შესრულებისთვის, კონფერენციის მომზადებისთვის, მასპინძლობისა და COVID-19 პანდემიით განპირობებულ გამოწვევებთან მისი ადაპტირებისათვის.

EHEA წარმოადგენს უნიკალურ თანამშრომლობას, რომელიც ნდობაზეა დაშენებული და რომელშიც საჯარო ხელისუფლება და უმაღლესი განათლებით დაინტერესებული მხარეები ერთად მუშაობენ იმისთვის, რომ დასახონ და მიაღწიონ საერთო მიზნებს. კულტურულ და ენობრივ გარემოთა განსხვავებულობის წყალობით, ხარისხთან, გამჭვირვალობასა და მობილობასთან დაკავშირებული ჩვენი საერთო ვალდებულებების კონტექსტში ჩვენი უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემები არათანაბარ შესაძლებლობებს გვთავაზობენ სწავლის, სწავლების, კვლევისა და ინოვაციების მიმართულებით.

ჩვენი საზოგადოება უპრეცედენტო გამოწვევის წინაშე დგას, რაც COVID-19 პანდემიის მთელი მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებასა და ამით გამოწვეულ შედეგებს უკავშირდება. პანდემიამ აჩვენა, თუ რამდენად ურთიერთდამოკიდებულნი ვართ და რამდენად მოწყვლადნი შეიძლება ვიყოთ. ცხადი გახადა, რომ ჩვენ - ყველა განუყოფელი ნაწილი ვართ ერთი მსოფლიოსი, რომელშიც ადამიანური სოლიდარობა აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ჩვენ დიდად ვაფასებთ და ვაღიარებთ უმაღლესი განათლების საზოგადოების ძალისხმევას ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად და კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს გადაწყვეტილებას - შევექმნათ ინკლუზიური და ხარისხიანი უმაღლესი განათლება, რომელიც კრიზისულ პერიოდებშიც კი შეძლებს სრულად მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

ჩვენ განზრახული გვაქვს მივაღწიოთ იმას, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა საზოგადოებასთან თანამშრომლობით შეძლონ აღმოფხვრან ის მრავალრიცხოვანი საფრთხეები, რომლებიც მსოფლიო მშვიდობას, დემოკრატიულ ღირებულებებს, ინფორმაციის თავისუფლებას, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას ემუქრება, განსაკუთრებით კი საფრთხეები, რომლებიც პანდემიამ გამოიწვია ან გაამწვავა. აღებული გვაქვს ვალდებულება - გავაგრძელოთ და გავაძლიეროთ ინვესტიცია განათლებაში, რათა უზრუნველვყოთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა შესაბამისი დაფინანსება საიმისოდ, რომ მონახოს გამოსავალი არსებული კრიზისისა თუ

პოსტ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსასვლელად და მწვანე, მდგრად და მოქნილ ეკონომიკად და საზოგადოებად განავითაროს და გარდაქმნას იგი.

ჩვენ ვალდებულნი ვართ აღმოვფხვრათ სოციალური უთანასწორობა, რომელიც ჯერ კიდევ ზღუდავს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეს სრული ინკლუზიურობის მიღწევაში. დიגיტალიზაციამ საშუალება მისცა ჩვენს სისტემათა უმრავლესობას, COVID-19 პანდემიის პირობებშიც გაეგრძელებინა ფუნქციონირება, თუმცა ციფრული საშუალებების ინტენსიურმა გამოყენებამ გარკვეული შეზღუდვებიც გამოავლინა. სახელმწიფოთაშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობისა და კვლევის საერთო გამოცდილებით, უმაღლესმა განათლებამ წამყვანი როლი უნდა შეასრულოს, ამ შეზღუდვათა დაძლევისა და მოგვარების გზების მოძიებისა და კვლევის თვალსაზრისით.

ჩვენ მტკიცედ და ოპტიმისტურად შევყურებთ 2030 წელს - დარწმუნებულნი ვართ, რომ ხელს შევუწყობთ და მივაღწევთ უფრო ეფექტურ თანამშრომლობას ჩვენს ქვეყნებს, უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემებსა და დაწესებულებებს შორის და კიდევ უფრო ახლო დიალოგს უმაღლესი განათლების ფართო საზოგადოებასთან.

მოხარულნი ვართ მივესალმოდ სან-მარინოს როგორც EHEA-ს ახალ წევრს. სან მარინოს ექნება სრული მხარდაჭერა შეთანხმებული გზამკვლევის მიხედვით მისი ვალდებულებების შესრულებაში.

ჩვენი ხედვა

ჩვენ EHEA-ს მივიჩნევთ სივრცედ, რომელშიც სტუდენტებს, პერსონალსა და კურსდამთავრებულებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილდნენ სწავლის, სწავლებისა და კვლევის მიზნით. ამ ხედვის თანახმად, EHEA სრულად ითავისებს უმაღლესი განათლების ფუნდამენტურ ღირებულებებს, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას. იგი წახალისებს შემოქმედებითობას, კრიტიკულ აზროვნებას, ცოდნის თავისუფალ გავრცელებას და გააფართოებს შესაძლებლობებს, რომლებსაც კვლევაზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების ტექნოლოგიური განვითარება გვთავაზობს. იგი უზრუნველყოფს, რომ ჩვენმა უმაღლესმა საგანმანათლებლო სისტემამ სწავლის ყველა მსურველს თანაბარი შესაძლებლობები მისცეს, თითოეულის პოტენციალისა და მისწრაფების შესაბამისად. ვიაზრებთ, რომ ამის მიღწევა საჭიროებს პოლიტიკის შემუშავებას და საჭირო ზომების გატარებას ეროვნული ჩარჩოების დონეზე, რომელთაგანაც ზოგიერთი შესაძლოა გასცდეს უმაღლესი განათლების სისტემას და შესაბამისობაში მოვიდეს უფრო ფართო - ეროვნულ ეკონომიკურ, ფინანსურ და სოციალურ სტრატეგიებთან.

ჩვენი ხედვის მისაღწევად, ვალდებულნი ვართ 2030 წლისთვის ავაშენოთ ინკლუზიური, ინოვაციური და ურთიერთდაკავშირებული უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, რომელიც შეძლებს საფუძველი ჩაუყაროს მდგრად, ურთიერთდაკავშირებულ და მშვიდობიან ევროპას:

- **ინკლუზიური**, ვინაიდან სწავლის ყველა მსურველს ექნება თანაბარი წვდომა უმაღლეს განათლებაზე და სრული მხარდაჭერა სწავლისა და მომზადების მიმართულებით.
- **ინოვაციური**, ვინაიდან იგი წარმოადგენს სწავლის, სწავლებისა და შეფასების ახალ და დახვეწილ მეთოდებსა და პრაქტიკას, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული კვლევასთან.
- **ურთიერთდაკავშირებული**, ვინაიდან ჩვენი საერთო ჩარჩოები და ინსტრუმენტები გააადვილებენ და გააძლიერებენ საერთაშორისო თანამშრომლობასა და რეფორმას, ცოდნის ურთიერთგაცვლას, სტუდენტთა და პერსონალის მობილობას.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ იმის პოტენციალი, რომ უდიდესი ცვლილებები განახორციელონ - გააუმჯობესონ სტუდენტებისა და საზოგადოების ცოდნა, უნარები და კომპეტენცია, წვლილი შეიტანონ მდგრადობის, გარემოს დაცვისა და სხვა არსებითად მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევაში. მათ უნდა მოამზადონ მოსწავლეები - აქციონ აქტიურ, კრიტიკულად განწყობილ და პასუხისმგებელ მოქალაქეებად და შესთავაზონ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობები და ამით მხარი დაუჭირონ თითოეულს სოციალური როლის შესრულებაში.

უმაღლესი განათლება იქნება მთავარი მოქმედი პირი **2030 წლისთვის გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) თანხვედრის მიღწევაში**. ჩვენ ვალდებულნი ვართ მხარი დავუჭიროთ ჩვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საგანმანათლებლო, კვლევითი და ინოვაციური შესაძლებლობების გამოყენებაში, რათა განახორციელონ ფუნდამენტური გლობალური ამოცანები, განავითარონ რესურსები და იქცნენ იმის გარანტად, რომ ჩვენს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემებს საკუთარი წვლილი შეაქვთ **მდგრადი განვითარების მიზნების** მიღწევაში. კლიმატის ნეიტრალიტეტზე გადასვლა ყველა ჩვენგანისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, მოსწავლეები კი უნდა მოემზადონ ახალი „მწვანე“ სამუშაოებისა და აქტივობებისთვის. მათ უნდა ჰქონდეთ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პერსპექტივა - ახალი უნარებით მომზადებისა (upskilling) და გადამზადების (reskilling) შესაძლებლობები და ახალი ტექნოლოგიებისა და მიდგომების განვითარებისა და გამოყენების საშუალება.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე განაგრძობს, ხარისხიანი განათლება იყოს მისი მთავარი მახასიათებელი ნიშანი. აკადემიური და სამეცნიერო კეთილსინდისიერების ჯანსაღ კულტურას, რომელიც ბლოკავს აკადემიური თაღლითობისა და სამეცნიერო სიმართლის დამახინჯების ნებისმიერ ფორმას, მხარს დაუჭერს ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ყველა საჯარო ხელისუფლება.

ფუნდამენტური ღირებულებები

კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს ვალდებულებას - მხარი დავუჭიროთ და დავიცვათ ჩვენი საერთო ფუნდამენტური ღირებულებები უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მასშტაბით, გაძლიერებული პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის საშუალებით, რომელიც აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს ხარისხიანი სწავლის, სწავლებისა და კვლევისათვის, ისევე როგორც დემოკრატიული საზოგადოებისათვის. ჩვენ ვალდებულებას ვიტოვებთ, დავიცვათ ინსტიტუციური ავტონომია, აკადემიური თავისუფლება და კეთილსინდისიერება, სტუდენტთა და პერსონალის მონაწილეობა უმაღლესი განათლების მართვაში და საჯარო პასუხისმგებლობა უმაღლესი განათლებისთვის და მის გამო.

ვთხოვთ ბოლონის სამეთვალყურეო ჯგუფს (BFUG) შეიმუშაოს ჩარჩო EHEA-ს ფუნდამენტური ღირებულებების გასაძლიერებლად, რაც ხელს შეუწყობს თვითგამორკვევის, კონსტრუქციული დიალოგისა და თანასწორი სწავლის პროცესს ეროვნულ ხელისუფლებათა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის, და ამასთან, შესაძლებელს გახდის შეფასდეს თუ რა ხარისხითაა წარმოდგენილი და დანერგილი იგი ჩვენს სისტემებში. ჩვენ ვიღებთ აკადემიური თავისუფლების განმარტებას, როგორც აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების თავისუფლებას - ჩაერთონ კვლევაში, სწავლებაში, სწავლასა და საზოგადოებასთან კომუნიკაციაში რამე სახის რეპრესიის ყოველგვარი შიშის გარეშე (დანართი I).

კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს ვალდებულებას - ხელი შევუწყოთ ეთიკას, გამჭვირვალობასა და კეთილსინდისიერებას განათლებასა და კვლევაში და აღვნიშნავთ, რომ ევროპის საბჭოს ეთიკის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების პლატფორმა (ETINED) უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ყველა წევრს, სათათბიროს წევრსა და პარტნიორს სთავაზობს ამ მიზნის მისაღწევად თანამშრომლობის შესაძლებლობას.

მომავლის შექმნა

ინკლუზიური EHEA

სოციალურად ინკლუზიური უმაღლესი განათლება დარჩება EHEA-ს საკვანძო საკითხად, რაც მოითხოვს შეიქმნას სათანადო შესაძლებლობები და მხარი დაუჭიროს საზოგადოების ყველა ნაწილიდან ინდივიდთა თანაბარ ჩართულობას. სხვადასხვა სოციო-ეკონომიკური, პროფესიული და საგანმანათლებლო გამოცდილების მქონე მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა და ინსტრუმენტები საიმისოდ, რომ ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე იპოვონ საკუთარი თავი მათთვის საჭირო საგანმანათლებლო შესაძლებლობებს შორის და მიიღონ სარგებელი.

ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას გავაძლიეროთ საზოგადოებრივი ჩართულობა და ხარისხიანი განათლება, იმ ახალი შესაძლებლობების გამოყენებით, რომლებსაც დიგიტალიზაცია იძლევა. რამდენადაც ჩვენი საზოგადოება სულ უფრო და უფრო მეტად ხდება დამოკიდებული ტექნოლოგიებზე, მათ შორის - ხელოვნურ ინტელექტზე, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ეთიკური სტანდარტებისა და ადამიანის უფლებების დაცვა და ხელი შევუწყოთ ინკლუზიას. ვაღიარებთ, რომ დიგიტალიზაცია ვერ გვთავაზობს „ყველასა და ყველაფერზე მორგებულ“ გამოსავლებს და ვთხოვთ ბოლონის სამეთვალყურეო ჯგუფს დასახოს გზები საიმისოდ, რომ ყველა მოსწავლემ შეძლოს სარგებლის მიღება ახალი ტექნოლოგიებიდან.

ჩვენ ვიზიარებთ იმ „პრინციპებსა და მითითებებს უმაღლესი განათლების სოციალური განზომილების გასაძლიერებლად EHEA-ში“ (დანართი II), რომლებიც სოციალური განზომილების უფრო ფართო გააზრებას ეფუძნება, და ვალდებულებას ვიღებთ დავენერგოთ ისინი ჩვენს სისტემებში. ვაწარმოებთ ფართომასშტაბიანი პოლიტიკის დიალოგს იმასთან დაკავშირებით, ეროვნულ დონეზე სრულად თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს პრინციპები და მითითებები. მხარს დავუჭერთ ჩვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ამ ყოველივეს მათ ინსტიტუციონალურ კულტურასა და მთავარ მისიაში დასაწერად: სწავლასა და სწავლებაში, კვლევასა და ინოვაციაში, ცოდნის ცირკულაციასა და გავრცელებაში, ინსტიტუციურ მმართველობასა და მენეჯმენტში. ვთხოვთ ბოლონის სამეთვალყურეო ჯგუფს (BFUG) - 2024 წელს მოგვახსენოს გადადგმული ნაბიჯებისა და მათთან დაკავშირებული მონიტორინგის ზომების შესახებ, რათა უზრუნველვყოთ მონაცემებზე დაფუძნებული მუშაობა შემდგომში.

კარგად ვიზიარებთ კანონმდებლობის საშუალებით სტუდენტთა უფლებების დაცვის მნიშვნელობას; ვალდებულებას ვიღებთ განვაავითაროთ და მხარი დავუჭიროთ მას ჩვენს ეროვნულ სისტემებში სათანადო ზომებისა და სტრუქტურების მეშვეობით, როგორებიცაა სტუდენტთა ომბუდსმენების არსებობა ან პრობლემათა გადაჭრის სხვა გზები, რაც უკვე არსებობს EHEA-ს მრავალ ქვეყანაში. ვალდებულებას ვიღებთ შესაძლებელი გავხადოთ

ამგვარი მოწყობა ჩვენს ქვეყნებსა და უმაღლესი განათლების სისტემებში და გავაძლიეროთ თანამშრომლობა უმაღლესი განათლების სფეროში ომბუდსმენტა ევროპული ქსელთან (ENOHE).

ინოვაციური EHEA

ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გააძლიერონ იმ გამოწვევათა გამკლავების გზების ძიება, რომელთა წინაშეც ჩვენი საზოგადოებები დგას. სოციალურმა, ჰუმანიტარულმა, შემოქმედებითმა მეცნიერებებმა და ხელოვნებამ კვლავაც არსებითი როლი უნდა ითამაშოს და მისცეს სიღრმე ჩვენს ცხოვრებას, შეგვადლებინოს გავიაზროთ და ვიმოქმედოთ ცვალებად სამყაროში. ჩვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მიმზიდველი უნდა იყოს განსხვავებული ჯგუფებისთვის საიმისოდ, რომ ორმხრივ სარგებელსა და სოციალურ პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული ერთობლივი აქტივობები განხორციელდეს.

საჭიროება მოითხოვს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სწრაფ განახლებას, რათა ვუპასუხოთ გამოწვევებს და გამოვიყენოთ ის შესაძლებლობები, რომლებსაც ახალი ათწლეული შემოგვთავაზებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები განაგრძობენ სწავლის შეთავაზების გამრავალფეროვნებას და სიახლეების დანერგვას მიწოდების მოდელებსა და შინაარსში, რათა უპასუხოთ ინოვაციური და კრიტიკული აზროვნების, ემოციური ინტელექტის, ლიდერობის, ჯგუფური მუშაობის, პრობლემის გადაჭრის უნარებისა და მოქნილი მიდგომების მზარდ საჭიროებებს.

მოქნილი და ღია სასწავლო მიმართულებები, რაც ბოლონიის პროცესისთვის შთაგონების ავთენტური ნაწილია, **სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების** მნიშვნელოვან ასპექტსა და ჩვენს საზოგადოებათა მზარდ მოთხოვნას წარმომადგენს. სრულ სადიპლომო პროგრამებთან ერთად, მრავალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გვთავაზობს ან გეგმავს შემოგვთავაზოს **მცირე სასწავლო ერთეულები**, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე შესაძლებლობას მისცემს სწავლის პროცესში მყოფთ განავითარონ ან განახლონ მათი კულტურული, პროფესიული და ტრანსვერსიული უნარები. ვთხოვთ ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფს - შეისწავლოს ეს მცირე, მოქნილი ერთეულები, მათ შორის ისინიც, რომლებიც მცირე კვალიფიკაციას ანიჭებენ და განსაზღვროს ჩვენი ინსტიტუციების მიერ თუ როგორ და რა მოცულობით შეიძლება დადგინდეს, განვითარდეს, დაინერგოს და აღიარებულ იქნას ეს კვალიფიკაციები EHEA-ს ინსტრუმენტების გამოყენებით.

ვიზიარებთ „**რეკომენდაციებს ეროვნული ხელისუფლებებისათვის უმაღლესი განათლების სწავლისა და სწავლების გასაძლიერებლად EHEA-ში**“ (დანართი III) და ვალდებულებას ვიღებთ, მივყვეთ მათ, მხარი დავუჭიროთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლისა და სწავლების შემდგომში დანერგვაში. ეს

რეკომენდაციები მოიცავს გაზრდილ მხარდაჭერას სწავლის პროცესში მყოფათვის, სასწავლო და არასასწავლო პერსონალისათვის. აკადემიური პერსონალი, მათ შორის ახალგაზრდა პროფესორ-მეცნიერები, საჭიროებენ სტაბილურ დასაქმებასა და კარიერულ შესაძლებლობებს, თანასწორობას სწავლებისა და კვლევის შეფასების მიმართულებით, მიმზიდველ სამუშაო პირობებს, წვდომას კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მათი წარმატებების აღიარებას. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ჩვენ ხელს შევუწყობთ დიალოგსა და თანამშრომლობას სწავლისა და სწავლების მიმართულებით - როგორც ეროვნული სისტემების დონეზე, ისე EHEA-ს მასშტაბით.

ვალდებულებას ვიღებთ, მხარი დავუჭიროთ ჩვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სწავლის, სწავლებისა და შეფასების, ასევე აკადემიური კომუნიკაციისა და კვლევის პროცესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით, და ინვესტიცია ჩავდეთ **ციფრული უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში ყველასათვის**. ვალდებულებას ვიტოვებთ, განვაავითაროთ ღია მეცნიერება და განათლება, რათა გავამარტივოთ ცოდნისა და საავტორო უფლებების თვალსაზრისით ხელმისაწვდომი იმ მასალების გაცვლა, რაც თავისუფლად შეიძლება გაზიარებულ იქნას უმაღლეს განათლებაში დაინტერესებულ მხარეთა შორის, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარ საჭიროებებს მოარგონ და დანიშნულებისამებრ გამოიყენონ ისინი.

ურთიერთდაკავშირებული EHEA

თანამშრომლობა და მობილობა ერთმანეთთან აკავშირებს ჩვენს სისტემებს და ხელს უწყობს ინტელექტუალური და ლინგვისტური კომპეტენციების განვითარებას, ცოდნის ფართოდ გავრცელებასა და ჩვენი სამყაროს შემეცნებას. პერსონალისა და სტუდენტების მობილობის საშუალებით პირდაპირ კონტაქტსა და თანამშრომლობას ჩვენს განსხვავებულ კულტურათა და EHEA-ს უმაღლესი განათლების სისტემებს შორის საკუთარი წვლილი შეაქვს უმაღლესი განათლების შესაბამისობასა და წარმატებაში, რაც მას მომხიბლავსა და კონკურენტუნარიანს ხდის მსოფლიოს მასშტაბით. ვალიარებთ სტუდენტების, დოქტორანტებისა და აკადემიური პერსონალის ფიზიკური მობილობის მნიშვნელობასა და სარგებელს. მიუხედავად COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული მიმდინარე სირთულეებისა, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს ამოცანას - **უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში კურსდამთავრებულთა მინიმუმ 20%-ს** ჰქონდეს საზღვარგარეთ სწავლისა თუ მომზადების გამოცდილება, და **უფრო მეტიც - ვალდებულებას ვიღებთ, კურიკულუმის ინტერნაციონალიზაციის საშუალებით, შესაძლებლობა მივცეთ სწავლის პროცესში მყოფთაგან ყველას, შეიძინონ საერთაშორისო და ინტერკულტურული კომპეტენციები** ან საკუთარ დაწესებულებებშივე **ინოვაციური საერთაშორისო გარემოს** მონაწილენი იყონ, და **რაიმე ფორმით**, იქნება ეს ფიზიკური, ციფრული (ვირტუალური) თუ შერეული ფორმატი, **მიიღონ მობილობის გამოცდილება**.

ციფრული გადაჭრის გზები გაამარტივებს **მონაცემთა** დაცულ, ეფექტიან და გამჭვირვალე **გაცვლას**. საჭიროა ერთობლივი ციფრული მიდგომები საიმისოდ, რომ გაძლიერდეს

აღიარების, ხარისხის უზრუნველყოფისა და მობილობის პროცესი. ვთხოვთ ბოლონის სამეთვალყურეო ჯგუფს თავი მოუყაროს არსებულს და მოიძიოს პრობლემის გადაჭრის ახალი გზები საიმისოდ, რომ გაძლიერდეს ციფრული სისტემების ურთიერთსარგებლიანობა, სტუდენტთა გაცვლა და ინსტიტუციური მონაცემები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების სრული დაცვით, ასევე - მხედველობაში მიიღოს ევროპელ სტუდენტთა ბარათის ინიციატივისა და სხვა ინიციატივათა გამოცდილება.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის უფრო ღრმა თანამშრომლობა წაადგება ზემოხსენებული ამოცანების განხორციელებას სწავლებისა და კვლევის საშუალებით. ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ საიმისოდ, რომ გადავლახოთ ეროვნულ დონეზე თანამშრომლობასთან დაკავშირებული დაბრკოლებები და შესაძლებელი გავხადოთ EHEA-ს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მათგან სარგებლის მიღება. ევროპული უნივერსიტეტების ინიციატივების ფარგლებში შექმნილი ალიანსები მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს სისტემათაშორისი - უფრო ღრმა და ფართო - თანამშრომლობის შესამუშავებლად, რაც დაგვეხმარება იმ გამოწვევების დაძლევაში, რომელთა წინაშეც უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ ახლო და ტრანსნაციონალური თანამშრომლობა შეიძლება დადგეს მომავალში.

იმპლემენტაცია

ჩვენ ვითვალისწინებთ ბოლონის პროცესის იმპლემენტაციის ანგარიშში ასახულ შედეგებს ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში გადადგმული ნაბიჯების შესახებ. მიღწევები შთამბეჭდავია, თუმცა მეტი შრომაა საჭირო იმის დასადასტურებლად, რომ EHEA მტკიცე საფუძველებზეა დაშენებული და აქვს უნარი, ხელი შეუწყოს ურთიერთდაკავშირებულ, ინოვაციურ და ინკლუზიურ უმაღლეს განათლებას დამდეგი ათწლეულის განმავლობაში.

ჩვენი ვალდებულებების აღსასრულებლად იმედს ვამყარებთ ერაზმუსის პროგრამების, სხვა სახის მობილობისა და თანამშრომლობის პროგრამების მუდმივ მხარდაჭერაზე.

2018 წლის პარიზის მინისტრიალის შეხვედრაზე მივიღეთ გადაწყვეილება, განსაკუთრებული ძალისხმევა გამოგვეჩინა „სამი ძირითადი ვალდებულების“ აღსასრულებლად, რომლებიც EHEA-ს ფუნქციონირებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია. ესენია: კვალიფიკაციების ჩარჩოები და ECTS, ლისაბონის აღიარების კონვენცია და დიპლომის დანართი, ხარისხის უზრუნველყოფა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და რეკომენდაციების მიხედვით (ESG).

კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს გადაწყვეტილებას - ეს ძირითადი ვალდებულებები სრულად განვახორციელოთ. ვთხოვთ ბოლონის სამეთვალყურეო ჯგუფს განაგრძოს ურთიერთმხარდაჭერის მეთოდის გამოყენება ამ მიზნის მისაღწევად. ვალდებულებას ვიღებთ მივიღოთ მონაწილეობა და საკუთარი წვლილი შევიტანოთ ამ ამოცანის განხორციელებაში.

ვალდებულებას ვიტოვებთ შევასრულოთ და უფრო მეტად განვაავითაროთ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (QF-EHEA) თავსებადი კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოები და ვთხოვთ ბოლონის სამეთვალყურეო ჯგუფს - განაახლოს თვითაღიარების კრიტერიუმები მათში ეროვნული ანგარიშების ურთიერთშეფასების (peer review) მძლავრი ელემენტის ჩართვით. ჩვენ მივანდობთ კვალიფიკაციების ჩარჩოთა ქსელის თანამშრომლებს განაგრძონ საკუთარი საქმე და ამით წვლილი შეიტანონ ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ყოვლისმომცველი ჩარჩოს მეტად დახვეწაში და მასთან მიმართებაში კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოთა თვითაღიარების განვითარებაში.

გავაძლიერებთ ევროსაბჭოს/იუნესკოს ლისაბონის აღიარების კონვენციის იმპლემენტაციას და დავნერგავთ მის პრინციპებს EHEA-ს გარეთ სწავლის პერიოდებსა და კვალიფიკაციებში, შეფასების საერთო კრიტერიუმებისა და ანგარიშების გამოყენებით, ლისაბონის აღიარების კონვენციის კომიტეტთან, ENIC და NARIC ქსელებთან თანამშრომლობით.

ჩვენ უზრუნველვყოფთ EHEA-ს შიგნით სწავლის პერიოდებისა და აკადემიური კვალიფიკაციების ავტომატურად აღიარებას ისე, რომ სტუდენტებმა, აკადემიურმა პერსონალმა და კურსდამთავრებულებმა თავისუფლად შეძლონ სწავლა, სწავლება და კვლევის წარმოება. განვხორციელებთ აუცილებელ საკანონმდებლო ცვლილებებს საიმისოდ, რომ სისტემურ საფეხურზე უზრუნველვყოფთ EHEA-ს იმ ქვეყნებში გაცემული კვალიფიკაციების ავტომატური აღიარება, რომლებშიც ხარისხის უზრუნველყოფა ESG-სთან თანხვედრაშია და სადაც დამტკიცებულია სრულად ფუნქციონირებადი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო. ასევე მხარს ვუჭერთ ციფრული სერტიფიცირებისა და კომუნიკაციის შეთანხმებული და დაცული სისტემების აპლიკაციას, როგორცაა **ბლოკების ჯაჭვი (blockchain)**, ისევე როგორც გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების მონაცემთა ბაზის (DEQAR) მეტად დახვეწას, ავტომატური აღიარების პროცესის გასამარტივებლად.

ვალდებულებას ვიღებთ გადავხედოთ ჩვენს კანონმდებლობას, რეგულაციებსა და პრაქტიკას საიმისოდ, რომ უზრუნველვყოფთ ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილობის მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირთა კვალიფიკაციათა სამართლიანად აღიარება, ლისაბონის აღიარების კონვენციის VII მუხლის შესაბამისად. მივესალმებით **ლტოლვილთათვის ევროპულ კვალიფიკაციათა პასპორტის** გაცემას და ხელს შევუწყობთ მისი გამოყენების გაფართოებას ჩვენს სისტემებში.

ვცნობ და ვაღიარებთ იმ პროგრესს, რომელიც ESG-სთან დაკავშირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარებაში შეინიშნება და ვალდებულებას ვიღებთ გადავლახოთ დარჩენილი დაბრკოლებები, მათ შორის EQAR რეგისტრირებული სააგენტოების საზღვრებსშორის ოპერირებასა და ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის ევროპული მიდგომის გამოყენებასთან დაკავშირებული ბარიერები. ვალდებულებას ვიღებთ უზრუნველვყოფთ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ჩვენმა გარე მექანიზმებმა ტრანსნაციონალური უმაღლესი განათლება მოიცვას EHEA-ში - შიდა უზრუნველყოფის თანაბარი სტანდარტებით. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის სწავლის გზების, მცირე სასწავლო ერთეულებისა და შედარებით მასშტაბური თანამშრომლობის მიმართულებით მოქნილობისა და ღიაობის განმტკიცების საჭიროების გათვალისწინებით, ჩვენ მხარს ვუჭერთ **ESG-ს გაძლიერებაზე ორიენტირებულ გამოყენებას უმაღლეს განათლებაში ინოვაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის მხარდასაჭერად.**

ვალდებულებას ვიღებთ გავაძლიეროთ **ევროპულ კვლევით სივრცესთან** თანამშრომლობა. მოვუწოდებთ ბოლონის სამეთვალყურეო ჯგუფს ევროპულ კვლევით სივრცესთან და ინოვაციის კომიტეტთან (ERAC) მჭიდრო თანამშრომლობისაკენ, რათა დამყარდეს კავშირი და ურთიერთთანამშრომლობა განათლების, კვლევისა და ინოვაციების პოლიტიკებს შორის. სხვა საკითხებთან ერთად, ფოკუსირება მოხდება კვლევაზე დაფუძნებული სწავლის განვითარებაზე, სამეცნიერო და აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფასა

და გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების ამოცანების შესრულებაში წვლილის შეტანაზე.

ვალდებულებას ვიტოვებთ ავაშენოთ უმაღლესი განათლების მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული და მდგრადი საზოგადოება, რომელიც ხელს შეუწყობს ინკლუზიას, კომუნიკაციას, თანამშრომლობასა და სოლიდარობას, რაც ასე მნიშვნელოვანია მომავლის EHEA-ს რელევანტობისა და სრულყოფისათვის.

ამის მისაღწევად, ვალდებულებას ვიტოვებთ, ჩვენი უმაღლესი საგანმანათლებლო სექტორები მუდმივად იყოს ინფორმირებული და ჩართული EHEA-ს განვითარებაში, და მჭიდროდ ვითანამშრომლოთ სტუდენტებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო ასოციაციებსა და ქსელებთან ეროვნული რეფორმების შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით. ჩვენ გააზრებული გვაქვს პრიორიტეტების განსასაზღვრად გამართული ფართო კონსულტაციების მნიშვნელობა EHEA-ს მომავლისთვის და ვთხოვთ ბოლონის სამეთვალყურეო საბჭოს, ორგანიზება გაუწიოს EHEA-ს ისეთ ღონისძიებებს, როგორებიცაა ტრანსნაციონალური სემინარები, სამუშაო შეხვედრები, განხილვები უმაღლესი განათლების ფართო საზოგადოების წევრთა (სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და გარე დაინტერესებული მხარეების) ჩართულობით - აწმყო და მომავალი მიზნების განსახილველად და მათთან დაკავშირებული თანამშრომლობის გზების დასახვისთვის.

EHEA გლობალურ გარემოში

მიუხედავად იმისა, რომ COVID-19 პანდემიამ შეუძლებელი გახადა გლობალური პოლიტიკის ფორუმის გამართვა, როგორც ეს დაგეგმილი გვქონდა, გვახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენი კონფერენცია გლობალურ სესიასაც მოიცავს. ჩვენ კვლავაც ვიღებთ უმაღლესი განათლების ღირებულებათა, პოლიტიკისა და რეფორმების შესახებ საერთაშორისო დიალოგის წარმოების ვალდებულებას, EHEA-სა და მსოფლიოს სხვა სივრცეების გამოცდილებაზე დაყრდნობით და ვთხოვთ ბოლონის სამეთვალყურეო ჯგუფს დამდეგ სამუშაო პერიოდში კიდევ უფრო მეტად გააძლიეროს და განავითაროს საერთაშორისო დიალოგი.

ჩვენ მივესალმებით უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ იუნესკოს გლობალური კონვენციის მიღებას და მისი დაუყოვნებლივ რატიფიცირების ვალდებულებას ვიღებთ, რათა გამარტივდეს EHEA-ს გარეთ მიღებული კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდების სამართლიანი აღიარების პროცესი, ლისაბონის აღიარების კონვენციის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და ანგარიშების გამოყენებით.

დიდად ვაფასებთ ახლახან განახლებულ უნივერსიტეტების დიდ ქარტიაში (Magna Charta Universitatum) მრავალფეროვნების, სოციალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გლობალური ღირებულებების ჩართვას.

დასკვნა

მოუწოდებთ ბოლონის სამეთვალყურეო ჯგუფს მომავალი ათწლეულისთვის მონიშნული პრიორიტეტები და აქტივობები მიმართოს საერთო მიზნისკენ - შეიქმნას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, რომელიც 2030 წლისთვის აღსრულებს ჩვენს ხედვას და მიაღწევს ჩვენ მიერ დასახულ მიზნებს. 2024 წელს დაგეგმილი ჩვენი კონფერენციისთვის ბოლონის სამეთვალყურეო ჯგუფს ვთხოვთ, წარმოადგინოს ანგარიში, რომელიც შეაფასებს ჩვენი საერთო ვალდებულებების აღსრულების მიმდინარეობას.

მადლიერებით ვიღებთ ალბანეთის შემოთავაზებას - 2024 წელს უმასპინძლოს EHEA-ს მომდევნო მინისტრიალსა და გლობალური პოლიტიკის ფორუმს.

დანართები

- რომის მინისტრიალის კომუნიკეს **დანართი I:** განცხადება აკადემიური თავისუფლების შესახებ.
- რომის მინისტრიალის კომუნიკეს **დანართი II:** EHEA-ში უმაღლესი განათლების სოციალური განზომილების გაძლიერების პრინციპები და მითითებები.
- რომის მინისტრიალის კომუნიკეს **დანართი III:** რეკომენდაციები ეროვნულ ხელისუფლებათათვის უმაღლესი განათლების სწავლისა და სწავლების გასაძლიერებლად EHEA-ში.

